



თბილისის საერთაშორისო
თეატრალური ფესტივალი

რეალობის ნატიფი ბრძნობით



საერთაშორისო
კროგრამა
18.09 - 9.10.2017

www.tbilisiinternational.com
+995 32 295 35 82 | 247 57 68

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი თბილისის მერია
Tbilisi International Festival of Theatre is Initiated and Hosted by Tbilisi City Hall



თბილისის მერია



1937 წლის 21 სექტემბერს ის დააპატიმრეს, დახვრება მიუსაჯეს, როგორც „კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრს“ და ამავე წლის 2 დეკემბერს დახვრიტეს. 30 წლის იყო. თეატრში მან მხოლოდ 9 სეზონი იმუშავა, მაგრამ მისმა გავლენამ გადააჭარბა წლებს და თაობებს; მისი შემოქმედება ჯერ კიდევ შესასწავლია; მისი სივრცის და მასშტაბის გრძნობა - სრულიად გამორჩეული. მას არ გააჩნია დრო, როგორც ყველა დიდ და მნიშვნელოვან მხატვარს. მისი შემოქმედება ერთგვარი სკოლაა სცენოგრაფებისათვის. იგი პრაქტიკულად ქართული სცენოგრაფიის ფუძემდებელია... მისთვის არ არსებობდა საზღვრები - მაშინ, როდესაც ციხესავით ჩაკეტილი საბჭოთა ქვეყანა სოცრეალიზმს აკანონებდა, იგი კონსტრუქტივიზმს ამკვიდრებდა თეატრში. იგი დინების სანინალმდებოდ მოძრაობდა.

პეტრე ოცხელი. ქართული თეატრის ლეგენდას წელს 110 წელი შეუსრულდა. მასზე კიდევ ბევრი დაინერება; მისი გამოფენები კვლავ ტრიუმფალურად მოივლის სამყაროს; იგი კვლავ და მუდმივად დარჩება დღევანდელი და აქტუალური, როგორც თეატრი; ჩვენ კი გადავწყვიტეთ სწორედ მისი ესკიზებით და მისი მხატვრობის ფრაგმენტებით გავაფორმოთ წლევანდელი ფესტივალის ვიზუალური მასალა და ასე აღვნიშნოთ მისი შემოქმედება; მომავალში თბილისის ფესტივალის ქართული ხელოვნების - „თეატრის ხალხის“ შემოქმედებს წარმოადგენს ყოველ ფესტივალზე სხვადასხვა სახით, წარმოადგენს როგორც ისტორიას, მეგვიდრობას, რომელიც რჩება ჩვენი ხვალისდელი დღის ყველაზე მნიშვნელოვან პირობად.

On September 21st, 1937 he was arrested and condemned to death as “the member of counter-revolutionary, Trotskyist, nationalistic organization” and was executed on December 2, same year. He was just 30. Having worked at theatre for only 9 seasons, his influence has surpassed years and generations to come. His legacy is still to be studied; his sense of space and scope is utterly distinguished. He is beyond time as all great artists. His work is a masterclass for set designers. He is one of the founders of Georgian set design... He had no limits - while prison-like Soviet Union was imposing Socialists-realism, he was founding constructivism in theatre. He swam against the current;

Petre Otskheli. The legend of Georgian theatre is 110. Much more will be written about him; his exhibitions will triumphantly travel around the world; he will remain contemporary and up-to-date forever, as theatre itself. We determined to decorate our Festival printed material with the details of his works this year and thus celebrate his work. In coming years Tbilisi International Festival of Theatre will present the art of Georgian theatre-makers, in different forms - present it as history and legacy that is the true basis we want to build our future on.

იოსი ტალ-განი
YOSSI TAL-GAN

ისრაელის ფესტივალებისა და თეატრების მრჩეველი. იერუსალიმი, ისრაელი
Advisor for Israeli festivals and theaters. Jerusalem, Israel

თავად წარმოვადგენ ფესტივალს, რომელმაც სულ ახლახან იზეიმა 54-ე იუბილე და გაოგნებას ვერ ვშალავ, როგორ მოახერხა თბილისის საერთაშორისო თეატრალურმა ფესტივალმა, ასეთ მოკლე ხანში მოეპოვებინა უპრეცედენტო პრესტიჟი და საერთაშორისო რეპუტაცია. ამ მიღწევის მნიშვნელობას ზრდის თბილისის გეოგრაფიული მდებარეობა - იგი ხომ ხილია ქვეყნებსა და კულტურებს შორის, დასავლეთსა და აღმოსავლეთს აკავშირებს. უნიკალური ქართული თეატრის, ქართველთა ცნობილი ტრადიციებისა და სტუმართმოყვარეობის ნაზავი, ენთუზიაზმით სავსე პროფესიონალი თანამშრომლები - ეს ყველაფერი ერთად შესანიშნავი საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვების სანინდარია.

Coming from a festival that has recently celebrated its 54th anniversary, I stand amazed at the unprecedented prestige and international status achieved by the Tbilisi International Festival Of theatre in such a short period of time. The importance of this achievement is enhanced due to Tbilisi's geographical position and location - being a bridge between countries and cultures from east and west. The combination of Georgian unique theater, Georgian famous tradition of hospitality, and the professional enthusiastic staff is a winning formula for an excellent international festival.

რომან დოლჟანსკი
ROMAN DOLJANSKI

ფესტივალების „NET“ და „ტერიტორია“ არტ დირექტორი; თეატრი „ნაციის“ სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე; იბენის პრემიის ჟიურის წევრი; გაზეთ „კომერსანტის“ მიმომხილველი, თეატრალური კრიტიკოსი
Art director of Festivals „NET“ and „TERRITORIA“; Vice artistic director of „Theatre of Nations“; Journalist of news-paper „KOMMERSANT“, Theatre critic;

როგორც ნებისმიერი სხვა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, თბილისის ფესტივალს ერთგვარი ფანჯარაა მსოფლიოში მოქალაქეებისთვის. ფესტივალს მატერიალური შესაძლებლობები არც ისე ბევრი აქვს, არადა, სურვილი დიდია, მსოფლიო თეატრის უთვალავი სიმდიდრე გაუზიარო მაყურებელს! მიმაჩნია, რომ დღეს ეს ფესტივალი ბრწყინვალე მაგალითია, როგორ შეიძლება მაყურებლისადმი ყურადღებიანი, ჭკვიანი, მრავალფეროვანი, მოულოდნელი და გულუხვი დარჩე, მიუხედავად იმისა, რომ სახსრები შეზღუდული გაქვთ. თბილისის მაცხოვრებლებს შეუძლიათ იამაყონ ამ ფესტივალს. მსოფლიოს კი, თავის მხრივ, შეუძლია იამაყოს, რომ, მათ შორის ამ ფესტივალის წყალობით, არსებობს ქალაქი თბილისი - უდიდესი თეატრალური ტრადიციებისა და ამოუწურავი შემოქმედებითი ძალების მქონე ქალაქი.

As any other International Theatre Festival, the Tbilisi International is a window into the world for its citizens. The funding is not sufficient, though the desire to share all the rich diversity of the theatrical world with your audience is immense! I see Tbilisi International Festival of Theatre as a brilliant example of how to remain attentive, clever, diverse, surprising and generous to your audiences with quite limited sources. People of Tbilisi must be proud of having this wonderful city with its great theatrical traditions and endless creative power, to which the Festival is an important contributor.

ფესტივალის მხარდამჭერი
Festival's Main Supporter



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
Ministry of Culture and Monument Protection of Georgia

რეჟისორი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის სამხატვრო
ხელმძღვანელი და მმართველი
Director, Artistic Director and Manager of Vaso Abashidze Music and Drama State Theatre

...თუ კი ცხოვრება თეატრია, მაშინ რა ადგილი უჭირავს თავად „თეატრს“ ჩვენს ცხოვრებაში?
ყველა თეატრი, რომელიც ასახავს სახელმწიფოს, რომელიც ქალაქის, რომელიც ქუჩაზე
მდებარეობს, ის არსებობს... მაგრამ ჩვენ შეიძლება არც ვიცოდეთ ამის შესახებ, რადგან:

- ა) ის არ ასახავს იმ პრობლემებს, რომელიც ჩვენ გვანახებს;
- ბ) ის არ გვიყვება საინტერესოდ ჩვენს ცხოვრებაზე;
- გ) მასში ვერ ვპოულობთ ჩვენს თავს;
- დ) ის ზედმეტად თეატრალიზებულია და არასაინტერესო;
- ე) ის არააქტუალურია, ვ, ზ, თ, ი, კ...და ა.შ...

აბა წარმოვიდგინოთ ყველაფერი პირიქით:

- ა) თეატრი, რომელიც ასახავს იმ პრობლემებს, რომელიც გვანახებს;
- ბ) თეატრი, რომელიც საინტერესოდ ყვება ჩვენი ცხოვრების შესახებ;
- გ) თეატრი, რომელშიც ვპოულობთ ჩვენს თავს;
- დ) თეატრი, რომელიც საინტერესოა;
- ე) თეატრი, რომელიც აქტუალურია, ვ, ზ, თ, ი, კ...და ა.შ...

მაშინ მივხვდებით, რომ ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე არსებობს
თეატრი, რომელიც ყოველი ჩვენთაგანისთვის აუცილებელია და მივხვდებით იმასაც, რომ
ჩვენი ცხოვრება გაცილებით უინტერესოა - ვიდრე ეს თეატრი!

If the life is a stage so what is the part stage/theatre holds in our lives? Each and every theatre is
situated in a state, in a city, on a particular street, i.e. actually exists... but we might not be aware
of this because:

- a) it does not reflect the problems we are concerned with;
- b) it does not narrate about our lives in an engaging way;
- c) we cannot find ourselves in it;
- d) it overtly theatrical and uninteresting;
- e) It is not up to date... etc. etc. ...

But let's imagine all these were vice versa:

- a) theatre that reflects the problems we are concerned with;
- b) theatre that narrates about our lives in an engaging way;
- c) theatre we can find ourselves in;
- d) theatre that is interesting;
- e) theatre that is up to date... etc. etc....

Then we will realize that in our country, on a street of our city there is a theatre that is necessary
for all of us da we will become aware that our lives are much less interesting than this theatre.

მწერალი, დრამატურგი
Playwright, Writer

სხვების არ იყოს, წელიწადში მეც რამდენიმე გარდამავალი ეტაპი მაქვს: ანუ, როცა გარ-
კვეული პერიოდი ან მოვლენა რაიმე სახის ათვლის წერტილად ან ეტაპად მესახება.
ბავშვობაში პირველი სექტემბერი მიმაჩნდა ასეთად, როცა სკოლასთან ერთად უპასუხის-
მგებლოდ ბედნიერი ზაფხული სრულდებოდა და ზრდის მორიგ საფეხურზე გადავდიოდი...
ასეთი იყო და არის, ბუნებრივია, რომელიმე პირადი თუ საერთო დღესასწაული,
რომელიც ზოგჯერ, არ დავმაღავ, უაპელაციოდ გამაღიზიანებლად მოქმედებს ჩემზე
(ვთქვათ, სოციალური ახალი წელი), მაგრამ ჩემი დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც
წარმოადგენენ მნიშვნელოვან ეტაპებს. “ეტაპებია” ჩემი თუ სხვების დაბადების დღეები (ან
თუნდაც ქვეყნის - 26 მაისი), ტრადიციად ქცეული წიგნის ფესტივალი ან გეოგრაფიულად
შორეული, მაგრამ ესთეტიკურად მიმზიდველი ბაიროთის მუსიკალური ზეიმი... ჰოდა ამ
“ათვლის წერტილებს” უკვე წლებია უკავშირდება თბილისის საერთაშორისო თეატრალური
ფესტივალი, რომელიც სექტემბრის ბოლოს იწყება და ახალი ქართული სპექტაკლებით
მიჰყვება ოქტომბერს... თუკი უნინ ჩემთვის სექტემბერი სკოლის დაწყებასთან (და, მოდი,
გულწრფელად ვთქვათ, გარკვეულ მელანქოლიასთან) იყო დაკავშირებული, ახლა ეს
თვე - და ზაფხულის დასასრულიც - აქტიურ თეატრალურ პროცესზეა მიბმული, ჩემთვის
ეს ცნობისმოყვარეობის და შთაბეჭდილებების ახლებური ეტაპია, რომელიც, როგორც
წესი, მომდევნო წლამდე, მომდევნო სექტემბრამდე, მომდევნო ფესტივალამდე მიმყვება
ხოლმე...

Like many others I have several transitional periods through a year, meaning some particular
periods or events that are starting point for me. As a child the 1st of September marked this
transition, when getting back to school after carefree summer vacations would mean another step
in the process of growing up... these were and still are some private or public holidays, some of
them, to be honest, pretty irritating to me (e.g. overtly social New Year), but notwithstanding my
attitude, they still mark important stages. Other “stages” are my own or someone else's birthdays
(even my country's birthday, 26th of May), Tbilisi Book Festival or even geographically remote
but still attractive Bayreuth music festival... Tbilisi International Festival of Theatre has been one
of those “starting points” to me for several years now, starting out in late September, followed by
Georgian Showcase in October... If in my early ears September would mean a new school year (to
be honest, with a subdued melancholy following), in my adult life this season - end of Summer - is
associated with lively theatrical process which is a stage of curiosity and new impressions to me
that never leaves me until next year, next edition of the Festival...



110

110



დავით თავაძე
DAVIT TAVADZE

რეჟისორი, სამეფო უბნის თეატრი
Director, Royal District Theatre

„ჭეშმარიტი მოგზაურობა, უცნობი პეიზაჟების თვალიერება კი არა - სხვისი თვალებით დანახული სამყაროა, ათასობით სხვისი თვალით დანახული ათასი სამყაროა“ - პრუსტი. ყოველ წელს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი სწორედ ამგვარ მოგზაურობაში გვინვეს და უნიკალურ შესაძლებლობასაც გვაძლევს თვალი გავუსწოროთ ჩვენი დროის უმძაფრეს სურათებს - თანავუგრძნოთ, გავანალიზოთ და გავხსოვდეს. წლებგანდელი საფესტივალო „ექსპედიციის“ მთავარ მეგზურად, უდიდესი პოლონელი რეჟისორი კომიტოვ ვარლიკოვსკი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც საქართველოს პირველად ეწვევა. მისი სპექტაკლი „ფრანგები“, რომლის პოლონური პრემიერაც პარიზის შემხარავი ტერაქტების ფონზე შედგა, თანამედროვე ევროპული მენტალიტეტისა და იდენტობის ფესვებს მარსელ პრუსტის მონუმენტურ რომანში „დაკარგული დროის ძიებაში“ ეძებს. ესაა უმნიშვნელოვანესი სათეატრო სანახაობა თანამედროვე პერფორმანსისა და სხეულის ენის, მულტიმედია ტექნოლოგიებისა და ცოცხალი მუსიკის გამოყენებით, სადაც „ყოველი ხელოვანი, იმ უცნობი ქვეყნიდანაა, თავადაც რომ აღარ ახსოვს“, სადაც ყოველი ხელოვანი, არის ხმა უცნობი, დავინწყებული სამყაროდან, იმ ქვეყნიდან, ან გნებავთ, იმ „ბნელი ტყიდან“, სადაც მხოლოდ მათ შეუძლიათ გვამოგზაურონ.

“The real voyage of discovery consists not in seeking new landscapes, but in having new eyes.” - Proust. Every year Tbilisi International Festival of Theatre invites us to this kind of voyage, allowing us to face the harshest images of our time - to sympathize, to analyze and to remember. This year the great Polish director Krzysztof Warlikowski will be the leading guide in our voyage; it is his first visit to Georgia. His show The French had its Polish premiere against the background of Paris terrorist attacks, searching the roots of contemporary European mentality and identity in the monumental work of Marcel Proust In Search of the Lost Time. It is an overwhelmingly important theatrical show that deploys contemporary performance and body languages, multimedia technologies and live music, where all artists come from an unknown country even they don't remember, representing voices from an unknown, forgotten world or a country, may it be called a “deep forest”, and only they can take us along with them to this voyage.

მიხეილ ჭკუასელი
MIKHEIL CHKUASELI

ბიზნესმენი, შ.პ.ს. „ჯეოპლანტი“-ს გენერალური დირექტორი
Businessman, L.T.D. “Geoplant” - General Director

განვითარებას ჭირდება ბრენდი და პირიქით ყველა ბრენდს სჭირდება განვითარება. ჩემთვის თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი არის ბრენდი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა და შეაქვს ჩემი ქვეყნის განვითარებაში. ფესტივალმა თბილისს და საქართველოს მისცა დამატებითი, განსაკუთრებული და ორიგინალური მუხტი ხაზი გაესვა საქართველოსათვის და თბილისისათვის, როგორც კულტურული და საგანმანათლებლო რეგიონული ცენტრისათვის. თავად ფესტივალი კი მუდმივი განვითარების, ახლის ძიების, ახალი ფორმების თამაშად დანერგვის, არსებულის და გამოცდილის მაღალ პროფესიულად გადმოტანის პროცესშია. თბილისის საერთაშორისო ფესტივალი მუდმივი განვითარების და მოძრაობის პროცესში მყოფი ბრენდია. და ბოლოს შინაარსი, ის რასაც ქვია ხარისხი და რასთანაც კომპრომისი არ შეიძლება, არ ყოფილა და დიდი იმედით არც იქნება. აი ეს ერთად ქმნის იმას რასაც ჩვენ ეკონომისტები ღირებულებას ვუწოდებთ. ძალიან მნიშვნელოვანია რომ ახლა ჩვენ კულტურაზე და თეატრზე ვსაუბრობთ, კონკრეტულად კულტურულ და თეატრალურ ბრენდზე.

In order to develop, we need to have a brand, and for that brand to succeed it needs to be developed. For me, Tbilisi International Festival of Theatre is a brand, which has been contributing in developing my country for past years till today. Festival has given an original and special charge to Tbilisi and Georgia as a whole to emphasize its cultural and educational centers. The festival itself is in a process of developing, searching for news, making the best out of the past experiences. Tbilisi International Festival is a brand that is in a constant process of development. Finally, there has not been a compromise with content or quality, and hopefully there will never be. All of these create what we, economists, believe to be of a value. It is essential that we are discussing culture and theatre, and more importantly - cultural and theatrical brand.

ზვიად კორძაძე
ZVIAD KORDZADZE

იურისტი, კორძაძის საადვოკატო ბიუროს დამაარსებელი და თავჯდომარე
Lawyer, Founder and CEO of “Kordzadze Law Office”

ძველ საბერძნეთში, ათენში თეატრში სპექტაკლზე დასწრება და მსახიობად მონაწილეობა მხოლოდ ათენის თავისუფალ მოქალაქეს შეეძლო. ალბათ ითვლებოდა, რომ თეატრის სულის შეცნობა მოლოდ თავისუფალ ადამიანს შეეძლო. ასეა დღემდე: თეატრი თავისუფალ სივრცეს აჩენს იქაც, სადაც ის ერთი შეხედვით საკმარისია და იქაც, სადაც ჰაერით საჭიროა. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი სწორედ ამ „თავისუფლებებს“ აგროვებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და აზიარებს ქართველ მაყურებელს. ვიყოთ თავისუფლები და გვიყვარდეს თეატრი.

In Ancient Greece, only free citizens of Athens could have attended or taken part in a theatrical performance. It was likely considered that only a free person could have understood the soul of theatre. Same can be said of today: theatre can bring freedom to any place; whether a place in desperate need of it, or a place thought to be full with it. Tbilisi International Festival of Theatre is gathering exactly the same kind of “freedom” with a scale of the whole world, and shares it with Georgian audience. Shall we be free, and love theatre.



ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი
Tbilisi International Festival of Theatre is Initiated and Hosted by Tbilisi City Hall



თბილისის მერია

ფესტივალის მხარდამჭერი
Main Support by Ministry of Culture and Monument Protection of Georgia



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

განსაკუთრებული მადლობა JTI- ს მხარდაჭერისათვის
Special Thanks to JTI for Generous Support

ოფიციალური მასპინძელი
Official Host Hotel



ROOMS HOTELS
— TBILISI —

ინიციატორები, მასპინძლები, პარტნიორები და მეგობრები - ყველა იმსახურებს ჩვენს
გულითად მადლობას. მათ გარეშე ფესტივალი ვერ შედგებოდა!

Founders, Partners and Festival Friends - All deserve our greatest thanks!
Without their support The Festival would not have been possible!

ფესტივალის მეგობრები დაარსების დღიდან
Partners and Friends since establishment



საერთაშორისო პროგრამის და პროექტების პარტნიორები
International Program and Projects Partners



ფესტივალის პარტნიორები
Festival Partners



საინფორმაციო მხარდაჭერა
Media Support



ინტერნეტ პარტნიორები
Internet Partners



ფესტივალის კლუბი
Festival Club



საერთაშორისო პროგრამა | INTERNATIONAL PROGRAM

18.09	თამაშის დასასრული Endgame	შაუშპილ დორტმუნი, გერმანია Schauspiel Dortmund, Germany	სამეფო უბნის თეატრი Royal District Theatre	20:00
21-22.09	ჩეხოვის პირველი კიშა Chekhov's First Play	დედ ცენტრი, ირლანდია Dead Centre, Ireland	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი დიდი სცენა Kote Marjanishvili State Drama Theatre Big Stage	20:00
25-26.09	კუ The Tortoise	ემილია რომანას თეატრალური ფონდი, იტალია Emilia Romagna Teatro Fondazione, Italy	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი დიდი სცენა Kote Marjanishvili State Drama Theatre Big Stage	20:00
26-27.09	ხსოვნის ქვები შტატსთეატრიდან Stolpersteine Staatstheater	ბადენის შტატსთეატრი კარლსრუე, გერმანია Badisches Staatstheater Karlsruhe, Germany	კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი Kakha Bakuradze's Movement Theatre	20:00
30.09	ათი Ten	სმენადაქვეითებულ მამაკაცთა ცეკვა (DMD), დიდი ბრიტანეთი Deaf Men Dancing, UK	ახალი ტფილისი (აღმაშენებლის გამზირი), თავისუფალი დასწრება NeuTiflis (Agmashenebeli Avenue), Free Access	17:00 19:00
30.09 1.10	ბოლო კამეზები Last Meetings	ფომენკოს თეატრი-სახელოსნო, რუსეთი Fomenko Workshop Theatre, Russia	ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრი დიდი სცენა Nodar Dumbadze State Youth Theatre Big Stage	20:00
2-3.10	ფრანგები The French	ნოვი თეატრი, პოლონეთი Nowy Teatr, Poland	ექსპო ჯორჯია Expo Georgia	19:00
8-9.10	ალუბლის ბაღი The Cherry Orchard	ბუქარესტის ნაციონალური თეატრი, რუმინეთი National Theatre of Bucharest, Romania	კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი დიდი სცენა Kote Marjanishvili State Drama Theatre Big Stage	20:00
ფესტივალის კლუბი - "რესტორანი სტრადას ეზო" Festival Club - "Restaurant STRADA"				
21.09	ნინო ქათამაძე Nino Katamadze	საავტორო კონცერტი	Solo Show	22:00
24.09	მეფი დანა და მისი მგობრები - ბერლინური რევიუ Mack the Knife and his fellows - Berlin Revue	თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წარმოგიდგენთ ერთობლივ პროექტს ლევან ცხადაძესთან და MOCKEMALÖR-თან ერთად (საქართველო - გერმანია)	Tbilisi International Festival of Theatre presents joint project with Levan Tskhadadze and MOCKEMALÖR (Georgia - Germany)	22:00
3.10	Natalia Beridze & Nikakoi LIVE Luna989 (dj set)	ქართული სპექტაკლების პროგრამა	Georgian ShowCase Program	22:30
6.10	მიშა მდინარაძე Misha Mdinardze	ეთნო ჯაზი - ქართული სპექტაკლების პროგრამა	Ethnic Jazz - Georgian ShowCase Program	22:30



საერთაშორისო
პროგრამა

INTERNATIONAL
PROGRAM

2017



18 სექტემბერი | თამაშის დასასრული September | ENDGAME

შაუშპილ დორტმუნი, გერმანია
სემუელ ბეკეტი
რეჟისორი კაი ფოგესი

მხატვარი მიხაელ ზიბეროკ-სერაფიმოვიჩი

მონაწილეობენ: ფრანკ გენზერი, უვე შმიდერი

თეატრის შესახებ:

შაუშპილ დორტმუნი, როგორც მუნიციპალური თეატრი, დორტმუნდის თეატრის ხუთთაგან ერთ-ერთი ნაწილია. 2010 წლიდან თეატრი ევროპული თეატრალური კონვენციის წევრია (სამხატვრო ხელმძღვანელი კაი ფოგესი). შაუშპილ დორტმუნდს ფართო სპექტრის საერთაშორისო პროექტები აქვს. მისი პროდუქცია 2010 წლიდან მოყოლებული აერთიანებს თეატრალურ ხელოვნებას, ინსტალაციებსა და მედიას, სპეციალური კოდირებითა და ინტერაქტიულ ფორმატებს.

სპექტაკლის შესახებ:

„თამაშის დასასრული“ (1957) სემუელ ბეკეტის ცნობილი პიესაა, რომლის მთავარი პერსონაჟები ჰამი და კლოვი არიან (ბატონი და მსახური). ისინი გამუდმებით ეკითხებიან საკუთარ თავს, რატომ უნდა იყვნენ ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის თავიდან მოცილებას ცდილობენ. მარადიული დამოკიდებულების გააზრებისას ამ დასკვნამდე მიდიან: „ისევ ვცდილობთ, ისევ ვმარცხდებით, ისევ უკეთ ვმარცხდებით.“
რეჟისორ კაი ფოგესის სპექტაკლი პიესის ფიზიკური ინტერპრეტაციაა, რომელშიც გვხვდება ხშირი გამეორებები, განსაკუთრებული ხმოვანი რიგი, რომელიც მაყურებლის სხეულებში „აღწევს“.

პრესა:

„შაუშპილ დორტმუნდის მცირე სცენაზე სემუელ ბეკეტის ერთმოქმედებიანი პიესა, „თამაშის დასასრული“ პირდაპირი გაგებით კანქვეშ გიძვრებათ, თქვენს ყურებში აღწევს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით: რასაც ეს ორი მსახიობი აჩვენებს სცენაზე, ნამდვილად გენიალურია.“

ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ / ვესტფალიშე რუნდშაუ 13.11.2012

■ ხანგრძლივობა: 80 წუთი უანტრაქტოდ

Schauspiel Dortmund, Germany
Samuel Beckett
Directed by Kay Voges
Designer Michael Sieberock-Serafimowitsch
Cast: Frank Genser, Uwe Schmieder

About Theatre:

Schauspiel Dortmund as a municipal theatre is one of five branches of Theater Dortmund. Since 2010, under the artistic leadership of Kay Voges, it is member of the ETC (European Theatre Convention). Schauspiel Dortmund has developed its international relations. The Schauspiel Dortmund produces theatre work that combines theatre, installation and media with coding and participatory formats since 2010.

About Performance:

“Endgame” (1957) is a famous play by Samuel Beckett about the main characters Hamm and Clov (or master and servant). From eternity to eternity they ask themselves why they have to stick together although they are trying to get rid of each other. In an eternal dependence they have to conclude: „We try again, we fail again, we fail better“.

The performance in the direction of Kay Voges is a very physical interpretation of the play by using loops and a special arrangement of different sounds which „bore into“ the spectators bodies.

Press:

“In the studio of the Schauspiel Dortmund, Samuel Beckett’s one-act play “Endgame” really gets under your skin – and into your ears. It is no exaggeration to say: It is just simply genius what these two actors do on stage.”

(Westdeutsche Allgemeine Zeitung / Westfälische Rundschau, 13.11.2012)

Duration: 80 minutes, without intermission.





21-22 სექტემბერი
September

ჩეხოვის პირველი პიესა
CHEKHOV'S FIRST PLAY

დედ ცენტრი, ირლანდია
დედ ცენტრი და ანტონ ჩეხოვი
რეჟისორი ბუშ მუკარზელი და ბენ კიდი

კომპოზიტორები ჯიმი იდი და კევინ გლისონი
მხატვარი ენდრიუ ქლენსი
ქორეოგრაფი ლივ ო დონოპიუ

თეატრის შესახებ:

„ჩეხოვის პირველი პიესა“, პრემიერა შედგა დუბლინის თეატრალურ ფესტივალზე 2015 წელს და ნომინირებული იყო საუკეთესო სპექტაკლის კატეგორიაში, მოპოვებული აქვს აირიშ თაიმზის თეატრალური პრემია საუკეთესო ხმის დიზაინის ნომინაციაში. საერთაშორისო საგასტროლო ტურნე მოიცავდა ბერლინის შაუბიუნეს, ესტონეთს („ბალტოსკანდალი“), საფრანგეთს (TnBa), პოლანდიას („ნორდერცონი“) და ავსტრალიას (ბრისბენის ფესტივალი), წელს კი სპექტაკლი მოივლის შვეიცარიას, ფინეთს, იტალიასა და რუსეთს. კომპანია მდებარეობს დუბლინში, მისი მიზანია საერთაშორისო მაყურებელს წარმოდგენა შეუქმნას ირლანდიული სამემსრულებლო ხელოვნების უახლეს ტენდენციებზე.

სპექტაკლის შესახებ:

„არაფერი მაქვს საერთო თეატრთან ან ადამიანთა მოდგმასთან. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ.“ - ანტონ ჩეხოვი.

რუსული რევოლუციის ორომტრიალის დროს, 1917 წელს, მარია ჩეხოვამ, ანტონის დამ, თავისი ძმის მრავალი ხელნაწერი შეინახა მოსკოვში, ბანკის სეიფში. 1921 წელს საბჭოთა მეცნიერებმა გახსნეს ყუთი და აღმოაჩინეს პიესა. ხელნაწერს აკლდა სატიტულო გვერდი. პიესაში, რომელიც მათ აღმოაჩინეს, მეტისმეტად ბევრი პერსონაჟი, უამრავი თემა და წარმოდგენილად ბევრი მოქმედება იყო. ითვლება, რომ ეს დაუდგმელი ტექსტია. ეს არის ჩეხოვამდელი ჩეხოვი.

პრესა:

„...წარმოდგენა იმდენად მასტიმულირებელი, ამაღლვებელი და აღმგზნებელია, რომ თეატრის ხშირ სტუმრებსაც კი იშვიათად ექნებათ ნანახი მსგავსი გამოცდილება.“

Stagescreen.wordpress.com

„ჩვენ უფრო ბედნიერები ვიყავით, ვიდრე თქვენ ახლა ხართ. წარსულში იყვნენ ადამიანები, რომელთაც უყვარდათ და რომელთაც სძულდათ.“ სიცარიელის შეგრძნება, პლატონოვის სინდრომი, რომელიც ჩვენი თაობის სიმბოლოდ ქცეულა. „დედ ცენტრი“ წარმოდგენაში ამ საკითხს ეხება: რეჟისორები ბუშ მუკარზელი და ბენ კიდი, „პოპ-სოციალიზმული“ 30 წლის ადამიანები, საკუთარ თავს უსვამენ შეკითხვას, საერთოდ როგორ არის შესაძლებელი დღეს თეატრის კეთება. მათი

მიზანია, დადგან „დაუსრულებელი პიესები დაუსრულებელი ადამიანებისთვის.“
რასაც წარმატებით ახერხებენ კიდეც, შედეგი ფრიად ამაღლებულია.

მუდღოიჩე ცაიტუნგი

ხანგრძლივობა: 70 წუთი უანტრაქტოდ
მხარდამჭერი: Culture Ireland



Dead Centre, Ireland
Dead Centre and Anton Chekhov
Directed by Bush Moukartzel and Ben Kidd

Composer Jimmy Eadie and Kevin Gleeson
Designer Andrew Clancy
Choreographer Liv O Donoghue

About Company:

Chekhov's First Play premiered at Dublin Theatre Festival 2015 and was nominated for Best Production and won Best Sound Design at the Irish Times Theatre Awards. It has toured internationally to the Schaubuhne Berlin, Estonia (Baltoscandal), France (TnBa), Holland (Norderzon) and Australia (Brisbane Festival) and this year will tour to Switzerland, Finland, Italy and Russia. Based in Dublin, the work of Dead Centre has connected with international audiences seeking to understand and engage with the latest movements and styles in Irish performance.



ROOMS HOTELS

— TBILISI —



14 M. Kostava St. 0108 Tbilisi, Georgia • Phone: + 995 32 2020099
tbilisi@roomshotels.com • www.roomshotels.com



A MEMBER OF DESIGN HOTELS™



Explore one of the oldest wine brandy
factory of Georgia

Tours at Sarajishvili House

E-mail: info@sarajishvili.ge

Tel: +995 0322 55 44 44

About Performance:

"I'm having absolutely nothing to do with the theatre or the human race. They can all go to hell." – Anton Chekhov

During the turmoil of the Russian Revolution in 1917, Maria Chekhov, Anton's sister, placed many of her late brother's manuscripts and papers in a safety deposit box in Moscow.

In 1921 Soviet scholars opened the box, and discovered a play. The title page was missing. The play they found has too many characters, too many themes, too much action. All in all, it's generally dismissed as unstageable. Like life. Chekhov before he was Chekhov.

Press:

"...It's stimulating, exciting and arousing to a degree that even regular theatregoers will experience very rarely."

Stagescreen.wordpress.com

"We were happier than you are now. Back in our day, there were people that loved and people that hated". A feeling of emptiness, the Platonow syndrome, is turned into a symbol of our generation. Dead Centre reflect this in their work: directors Bush Moukarzel and Ben Kidd, "popsocialised" 30-year olds, ask themselves how making theatre is even possible today. They are looking to stage "Unfinished plays for unfinished people". They've succeeded in doing this, and it's deeply moving.

Süddeutsche Zeitung

Duration: 70 minutes, without intermission
Kindly supported by Culture Ireland



Culture Ireland
Cultúr Éireann



ემილია რომანას თეატრალური ფონდი, იტალია
ლუიჯი პირანდेलო
რეჟისორი ლევან წულაძე

მხატვარი ლევან წულაძე
ქორეოგრაფი გია მარლანია
მუსიკალური გამფორმებელი ზურაბ გაგლოშვილი
კოსტიუმების მხატვარი ნინო სურგულაძე

მონაწილეობენ: ჯოვანი ფრანძონი, ჯუსტო კუკიარინი, მასიმო სკოლა, მიკელე მარინიელო, ჯულია კაილოტო, რობერტა დე სტეფანო.

თეატრის შესახებ:

ემილია რომანას თეატრალური ფონდის მისიაა თეატრისადმი გამუდმებით ორი პერსპექტივით ცქერა: ერთი მხრივ, მიეცეს ხელოვნებას საშუალება, თავისუფლად განვითარდეს, მეორე მხრივ კი - მიეცეს მაყურებელს საშუალება, ინტელექტუალურად და ემოციურად ჩაერთოს სპექტაკლის მიერ შემოთავაზებულ მხატვრულ სამყაროში.

კომპანიის მიზანია, იყოს ნაწილი ხელოვანთა ოცნებებისა და პროექტებისა, განსაკუთრებით კი ახლად ჩასახული ნამუშევრების, იყოს საკომუნიკაციო საშუალება, რომელიც ღიაა შემოთავაზებებისათვის ჩვენი სფეროს სხვადასხვა ტერიტორიიდან. პროგრამის შედგენის ნაცვლად, უპირატესობა ენიჭება ცალკეულ პროექტებს, რადგან ეს ერთადერთი გზაა ქმნადობის მხატვრული პროცესის გაზიარებისა და მაყურებლისთვის მისი შეთავაზებისთვის.

ემილია რომანას თეატრალური ფონდი იტალიური ნაციონალური თეატრის მოდელაში, რომელიც ძირითადად დრამის სფეროში მუშაობს, ასევე გააჩნია ცეკვის მიმართულება. ფონდი დაფუძნდა 1977 წელს, მისი ხელმძღვანელი 1994-2016 წლებში იყო პიეტრო ვალენტი. 2017 წლიდან კი პოსტი კლავდიო ლონგიმ დაიკავა. მეურვეთა საბჭოს წევრები არიან მუნიციპალიტეტის, რეგიონისა და სამინისტროს წარმომადგენლები.

სპექტაკლის შესახებ:

ავტორი რომელზეც რეჟისორი ლევან წულაძე შეჩერდა, ლუიჯი პირანდელია; პირანდელი არა დრამატურგი, არამედ პირანდელი პროზაიკოსი. მთავარ გმირს - ბატონ მიშკოვს (ჯოვანი ფრანძონი) მეგობარი კუს ჩუქნის, რომელმაც მას ბედნიერება უნდა მოუტანოს. თუმცა სახლში კუს გამოჩენის შემდეგ სიტუაცია მთლიანად ირევა - იწყება სტაბილური ბურჟუაზიული ყოფა, რის შედეგადაც მიშკოვის ცოლთან ურთიერთობა დაძაბულობის კულმინაციას აღწევს. ცოლი მიშკოვს ულტიმატუმს უყენებს - „თუ კუ სამ დღეში სახლიდან არ წავა, მაშინ მე წავალ!“. გადაწყვეტილების მიღება არც ისეთი მარტივი და კომიკურია როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მან უნდა გადაწყვიტოს გააგრძელოს, თუ შეწყვიტოს უკვე არამყარი და სიყვარულს მოკლებული ქორწინება. რეჟისორი იუმორისტულ ირონიული მუხით გვაჩვენებს ადამიანურ გრძნობებს და ზედაპირზე ამოაქვს მათი დრამატული და სევდიანი თანაცხოვრება.

პრესა:

ლევან წულაძის რეჟისორული დებიუტი იტალიაში, მოდენაში 2015 წელს, ნიკოლოზ გოგოლის „შეშლილის წერილების“ დადგმით შედგა და იგი სეზონის ნამდვილ აღმოჩენად იქნა აღიარებული.

„ელიკონი“

მისი თეატრი ძიების თეატრია, საავტორო თეატრი, რომელიც ამავე დროს ფართო პუბლიკას იზიდავს. ERT-ის ხელმძღვანელი პიეტრო ვალენტი მას ასე ახასიათებს:

„თვალყური ადევნეთ ამ რეჟისორს, ის ძალიან შორს წავა“

ემანუელა ჯამპაოლი, „ლა რეპუბლიკა“

ემილია რომანას თეატრალური ფონდისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის პროდუქცია
ხანგრძლივობა: 75 წუთი, უანტრაქტოდ



Emilia Romagna Teatro Fondazione, Italy
Luigi Pirandello
Directed by Levan Tsuladze

Scenography by Levan Tsuladze
Choreographer Gia Marghania
Music adapted by Zurab Gagloshvili
Costumes Designer Nino Surguladze

Cast: Giovanni Franzoni, Giusto Cucchiari, Massimo Scola, Michele Mariniello, Giulia Cailotto, Roberta De Stefano.

About Theatre:

Mission of the ERT is a constant double point of view on theatre aimed on one side to give art a place to grow freely and on the other give the audience the intellectual and emotional involvement that the artistic production can provide.

Being part of artists' dreams and projects, especially for newly conceived works, building a communicating vessels, open to suggestions and incentives from our territory of activity. Projecting instead of programming, since this is the only way to share the artistic process of creation and offer it to the audience.



Touch of the Past, Taste of the Future

Emilia Romagna Teatro Fondazione is an Italian National Theatre based in Modena, that mainly works in drama area, and also in the dance sector. Founded in 1977, ERT was directed by Pietro Valenti from 1994 to 2016. ERT is directed by Claudio Longhi since 2017. The board of administrators includes Public Authorities: the Municipality, the Region and the Ministry.

About Performance:

The author Levan Tsuladze chose is Luigi Pirandello, though not his dramatic work but fiction. The main character Mr. Mishkov (Giovanni Franzoni) receives a tortoise as a present, which should bring him luck. Once the tortoise appears in the house everything goes upside down: stable bourgeois life is shaken, Mishkov's relationship with his wife becomes extremely tense. The wife brings forth the ultimatum: "if the tortoise won't leave the house in three days, I will!" The decision is not so easy or comic as it might seem, he has to decide whether to terminate his loveless marriage or not. The director depicts human feelings with humor and bitter irony, brings to the surface the sad and turbulent life of the couple.

Press:

Levan Tsuladze's directorial debut in Italy, Modena in 2015 was Gogol's "The Madman's Letters" and was unanimously recognized as the discovery of the season."

Eliconie

His Theatre is the one of constant searching, a theatre of author, at the same time attracting wide audiences. One of the leaders of ERT, Pietro Valentini says about him: „note this director, he can reach very far."

Emanuela Jampaolo, La Repubblica

Produced by Emilia Romagna Teatro Fondazione in collaboration
with Kote Marjanishvili State Drama Theatre
Duration: 75 minutes, without intermission



**BADISCHES
STAATS
THEATER** KARLSRUHE

Eingeladen zum

**THEATER
TREFFEN
2016**

26-27 სექტემბერი
September

**ხსოვნის ქვები შტატსთეატრიდან
STOLPERSTEINE STAATSTHEATER**

ბადენის შტატსთეატრი კარლსრუე, გერმანია
ჰანს-ვერნერ კრიოზინგერი, რეჟინე დურა

რეჟისორი ჰანს-ვერნერ კრიოზინგერი
კომპოზიტორი დანიელ დორში
მხატვარი რობ მუნენი

მონაწილეობენ: მართე ლოლა დოიჩმანი, ანტონია მოორი, იონათან ბრუკმაიერი,
გუნარ შმიტი.

თეატრის შესახებ:

კარლსრუეს შტატსთეატრი დაარსდა 1719 წელს, როგორც ჰერცოგის კარის თეატრი; იგი მოიცავს ექვს განყოფილებას: ოპერასა და საკონცერტო რეპერტუარს (ბადენის სახელმწიფო კაპელის ჩათვლით), მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ორკესტრს, საბალეტო წარმოდგენებს კლასიკური შტატსბალეტის შესრულებით, დრამატულ თეატრს, შაუშპილის შესრულებით და ბავშვებისა და მოზარდებისთვის ახალგაზრდულ თეატრს; ასევე ფოლკსთეატრს. თეატრის რეპერტუარს სეზონის განმავლობაში დაახლოებით 330 000 მაყურებელს იზიდავს.

კოპროდუქციები და სპექტაკლების გაცვლა შტატსთეატრს აკავშირებს მსოფლიოს მასშტაბით 23 პარტნიორ თეატრთან. 2012 წელს შტატსთეატრს მიენიჭა საუკეთესო ოპერისა და საკონცერტო პროგრამის პრიზი გერმანიაში. 2016 წელს დოკუმენტური სპექტაკლი „ხსოვნის ქვები შტატსთეატრიდან“ დასახელებულ იქნა 10 საუკეთესო წარმოდგენას შორის გერმანულენოვან თეატრალურ სამყაროში და მოწვეულ იქნა ბერლინის ტეატერტრეფენზე;

შტატსთეატრი არის ევროპული თეატრალური კონვენციისა და ოპერა ევროპის აქტიური წევრი.

სპექტაკლის შესახებ:

დოკუმენტური სპექტაკლი „ხსოვნის ქვები შტატსთეატრიდან“ აანალიზებს ბადენის შტატსთეატრის მდგომარეობას ჰიტლერის მიერ გერმანიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების პერიოდში. პროექტის სახელწოდება „ხსოვნის ქვები“ უკავშირდება გერმანელი ხელოვანის, გუნტერ დემნიგის პროექტს. პროექტის საიტზე www.stolpersteine.eu განმარტებულია, რომ იგი ემსახურება „ნაციონალ-სოციალიზმის მსხვერპლთა ხსოვნას, აცოცხლებს ყველა იმ ებრაელის, რომას, სინტის, ჰომოსექსუალის, დისიდენტის, იეჰოვას მოწმისა თუ ევთანაზიის მსხვერპლს, რომლებიც გადაასახლეს ან გაანადგურეს.“ ეს „შებოცალების ქვები“ წარმოადგენს მომცრო ზომის ფილებს, ზედ დაკრული თითბრის ფირფიტებით, რომლებზედაც ამოტვიფრულია მოსაგონარი ადამიანების სახელები და ბიოგრაფიული მონაცემები. როგორც წესი, ასეთი ქვები დამაგრებულია იმ ადგილებში, სადაც მსხვერპლი ადამიანები უკანასკნელად ცხოვრობდნენ საკუთარი ნებით.

ქალაქ კარლსრუეს 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2015 წელს დადგმული სპექტაკლი იხსენებს იმ ოთხი ადამიანის ბედისწერას, რომლებიც 30-იანი წლების რეჟიმს შეეწირნენ. მაყურებელი შეიტყობს გემეკესა და იანკის ცხოვრების შესახებ, ასევე მსახიობ ჰერმან ბრანდისა და მოკარნახე ემა გრანდაითის შესახებაც; როგორც იყო მათი კარიერა, რას ფიქრობდნენ მათზე კოლეგები და ზემდგომები; თავიდან

როგორ უყვარდათ ისინი და საბოლოოდ როგორ მოიძულა პუბლიკამ; როგორ დაუპირისპირდნენ დევნას, სირცხვილს, იგნორირებას, უარი მიიღეს კომპენსაციაზე, როგორ გადაასახლეს და დაიღუპნენ. ამ ოთხი ისტორიით ნაჩვენებია ასეულობით ხელოვანის ბედი, რომლებიც თითქმის უჩუმრად გააძევეს გერმანული კულტურული ინსტიტუციებიდან 1933 წლის პირველ ნახევარში.

ჰანს-ვერნერ კრიზინგერი თავის გუნდთან ერთად მუშაობდა სახელმწიფო არქივში დაცულ დოკუმენტებზე. მათ ამოქექეს ძველი გაზეთები, ქვითრები, ოფიციალური და პირადი მიმოწერა და ინტერვიუები თვითმხილველებთან. მათ ამ დოკუმენტებს დაურთეს კლასიკის დრამატული ტექსტები, იმ დროს პოპულარული ბრეხტის კომიკური სიმღერები, ასევე მონაწილე მსახიობების მიერ შექმნილი ტექსტები. ამ ყველაფერს კი თან ერთვის ვიდეო ინსტალაციები და მუსიკა. მაყურებელი და მსახიობები არ არიან ერთმანეთისგან განცალკევებულნი. მაყურებლის უმრავლესობა ნახევარი სვასტიკის ფორმის უზარმაზარ მაგიდასთან ზის. ხდება დოკუმენტების პრეზენტაცია და არა მათი გათამაშება, მხოლოდ ალაგ-ალაგ ხდება მასალის ინსცენირება, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. დოკუმენტებს არ ერთვის ახლად დაწერილი კომენტარები ან სქოლიოები. ისინი თავისთავად მეტყველებენ საკუთარ თავზე. სპექტაკლის ბოლოს კი სცენა გარდაიქმნება სამკითხველო ოთახად და მაყურებელს ეძლევა საშუალება, მიუახლოვდეს, დამოუკიდებლად დაათვალიეროს დოკუმენტები.

პრესა:

„ეს აუჩქარებელი, უემოციო, უკიდურესად დეტალური და მაინც ამაღელვებელი გამოძიება რაღაც სრულებით ახალია: არავინ არავის სდებს ბრალს - უბრალოდ დოკუმენტებს შეისწავლიან.“

სცენა თავად იქცევა დრამატულ „ხსოვნის ქვად“, როდესაც ჩვენს წინაშე წარმოადგენენ სხვადასხვა ტექსტებს, გოეთესა და კლასიკის ჩათვლით, უცოდველი სახალხო პიესისა და ფიურერის სიტყვების ჩათვლით - ეს ყველაფერი კოლექტიურ აზროვნებას ემსახურება. ისე იოლად, ხელშესახებად, ბუნებრივად და მეგობრულად, რომ ნამდვილად მიშის მომგვრელია.“

Deutschlandfunk.de, 22.6.15

ხანგრძლივობა: 120 წუთი უანტრაქტოდ



ბორჯომი
იცხოვრე ვულკანური ქალით



Badisches Staatstheater Karlsruhe, Germany
Hans-Werner Kroesinger, Regine Dura
Directed by Hans-Werner Kroesinger

Composer Daniel Dorsch
Designer Rob Moonen

Cast: Marthe Lola Deutschmann, Antonia Mohr, Jonathan Bruckmeier, Gunnar Schmidt.

About Theatre:


Founded in 1719 as the ducal court theatre, the STAATSTHEATER KARLSRUHE encompasses six departments: OPERA and CONCERT REPERTOIRE with the BADISCHE STAATSKAPELLE, one of the oldest orchestras in the world, ballet performances by the classical STAATSBALLETT, drama theatre by the SCHAUSPIEL, the JUNGES STAATSTHEATER (department for children and youth), and the VOLKSTHEATER as the participatory department. Its reputation draws 330.000 spectators per season.

Coproductions and performance exchanges connect the STAATSTHEATER with over 23 partner theatres around the globe. In 2012 the STAATSTHEATER has been awarded the title of best opera house and best concert program in Germany. In 2016 the documentary play "Stolpersteine Staatstheater" was selected as one of the 10 most remarkable productions in the German speaking theatre world and invited to the Berlin Theatertreffen 2016. The STAATSTHEATER is an active member of the ETC and of Opera Europa.

About Performance:

"Stolpersteine Staatstheater", created by documentary theatre specialists Hans-Werner Kroesinger and Regine Dura, takes a close look on the Karlsruhe theatre during the months around Adolf Hitler's seizure of power in Germany in 1933. The production is called "Stolpersteine" referring to an art project by German artist Gunter Demnig. According to the project's homepage www.stolpersteine.eu, this project "commemorates the victims of national socialism, keeping alive the memory of Jews, Roma and Sinti, homosexuals, dissidents, Jehovah's witnesses and victims of euthanasia who were deported and exterminated". The so called "Stolpersteine" (tripping stones or stumbling blocks) are cobblestone-sized and carry an engraved brass plate that shows the name and biographical facts of the person it commemorates. Usually Demnig inserts the Stolperstein into the pavement surface right in front of the last self-chosen home of the victim.

As a contribution of the STAATSTHEATER to Karlsruhe's 300th anniversary 2015, Stolpersteine Staatstheater focuses on the destinies of four employees during the less liberal years of a city founded on the base of freedom of religion, profession and trade.



CHATEAU MERE



ყველაფერი იწყება ყავით...



ნესკაფე

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პარტნიორი



The audience finds out about singer Lily Jank, actors Paul Gemmecke and Hermann Brand and prompt Emma Grandeit; about their careers, what their colleagues and superiors thought about them, how they were first loved and eventually scorned by the audience, how they had to face harassment, embarrassment, dismissal, deportation, death or denied compensation. By way of example their stories stand for the fate of hundreds of artists and workers swiftly and almost noiselessly expelled from German cultural institutions during the first half of 1933.

Hans-Werner Kroesinger and his team have dug deep into the administrative files of the STAATSTHEATER, now preserved in the Generallandesarchiv. They dragged out old newspaper articles, playbills, official and personal correspondences and interviews with eye-witnesses. They arranged these documents together with dramatic texts by Kleist, songs by Brecht and Benatzky and personal texts by the actors Marthe Lola Deutschmann, Antonia Mohr, Jonathan Bruckmeier and Gunnar Schmidt. All this is completed by atmospheric video installations and music. There is no classic division of actors and audience. Most of the audience and the actors sit on stools, around an oversized table in the shape of half of a swastika. The documents are rather presented than acted out, only sometimes certain moments are dramatized in a conventional sense. Apart from the order of the presented material, no newly written comments or footnotes are given. The documents talk for themselves. At the end of the show, the stage will have transformed into a reading room and the audience is invited to take an even closer, individual look at the documents.

Press:

„...This unagitated, unemotional, meticulously exact and still moving investigation is completely new: No consternated accusation – but study of files.

The stage becomes a dramatic stolperstein of itself, when it is presented how different texts, from Goethe to Kleist, from innocent folk play to Führer-speech are put into service of one collective thinking – can be put into service. So easily, plausibly, naturally and with attentive friendliness, one is actually scared.”

Deutschlandfunk.de, 22.6.15

Duration: 120 minutes, without intermission



30 თვეში | WORKSHOP 74





სმენადაქვეითებულ მამაკაცთა ცეკვა (DMD), დიდი ბრიტანეთი ქორეოგრაფი მარკ სმიტი მხატვარი რაიან დოუსონ ლაითი კომპოზიტორი სინ ჩენდლერი

თეატრის შესახებ:

მარკ სმიტი არის Deaf Man Dancing-ის, მამაკაცთა ცეკვისინოვაციური და დამწყები კომპანიის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ეს არის მამაკაცი მოცეკვავეების/ქორეოგრაფების საზოგადოება, რომლის წევრებიც, მარკის მსგავსად, სმენადაქვეითებულები არიან. მათ გააერთიანეს ცეკვის სხვადასხვა სტილი და ქორეოგრაფიაში ჩართეს ჟესტების ენა, რითაც შექმნეს უნიკალური, საინტერესო და ორიგინალური ესთეტიკა.

ქორეოგრაფს და ჯგუფს არაერთი დაკვეთა აქვს მიღებული მნიშვნელოვანი ფესტივალებიდან და ცეკვის თეატრებიდან. მათ შორის Sadler's Wells & Incloodo Festival; Greenwich + Dockland-ის საერთაშორისო ფესტივალი; Liberty Festival 2014 წელს, მარკ სმიტი იყო იმ სამი შემსრულებელთაგან ერთ-ერთი, ვინც აირჩიეს, რათა მონაწილეობა მიეღო South East Dance-ის (სამხრეთი აღმოსავლეთი ცეკვა), Pavilion Dance South West-ისა (პავილიონის ცეკვა სამხრეთი აღმოსავლეთი), და GDance-ის ინტეგრირებულ ChoreoLAB-ში.

2016 წელს, Deaf Men Dancing-მა შეასრულაწარმოდგენა „ერთ ამბავს მოგიყვებით“, რომელიც საშუალებას აძლევს აუდიტორიას გაეცნოს სმენადაქვეითებულთა ისტორიას და სმენის პრობლემების მქონე პირთა გამოცდილებებს, როგორ ერთგვარ მუზეუმს განსაკუთრებულთა და ექსტრაორდინალურთათვის: ურჩი სხეულები და გონებანი სამედიცინო მუზეუმში. ერთობლივ პროექტს ხელმძღვანელობდნენ და ინიციატორები იყვნენ Deaf Men Dancing და მუზეუმებისა და გალერეათა კვლევის ცენტრი ლეისტერის უნივერსიტეტში. ისინი თანამშრომლობდნენ 8 სამედიცინო მუზეუმთან. მარკ სმიტმა გამოიკვლია სამედიცინო მუზეუმების კოლექციები, რომლებიც შეიცავს ასობით ობიექტს - დახვეწილი ყურის სასმენი მილებიდან დაწყებული, საყოველთაოდ ცნობილი მოსასმენი აპარატებით დამთავრებული, რაც გახდა პროექტის შთაგონება ექსტრაორდინალურ, აქამდე არმოყოლილ ისტორიებთან ერთად ადამიანებსა და მოვლენებზე, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე, რომლებიც ქმნიან სმენადაქვეითებულთა გამოცდილებას და იდენტობას სხვადასხვა ეპოქებში.

სპექტაკლის შესახებ:

Deaf Men Dancing არის სმენადაქვეითებულ მამაკაცთა ცეკვის კომპანია, რომელიც აერთიანებს ცეკვის რამდენიმე სტილს და მასში რთავს ბრიტანულ ჟესტების ენას. DMD-ის სამხატვრო ხელმძღვანელი/ქორეოგრაფი მარკ სმიტი, მხატვარი რაიან დოუსონ ლაითთან და კომპოზიტორ სინ ჩენდლერთან ერთად, გთავაზობთ DMD-ის ახალ ქუჩის წარმოდგენას სახელწოდებით „ათი“, შთაგონებულს წყვილთა აქტებით, როგორიცაა ლორელის & ჰარდის, ფლანაგანის & ალენის, მორეჟების & ვაიზის, აბოტის & კოსტელის და გილბერტის & ჯორჯის გამოსვლები. 2 სმენადაქვეითებულთა ადამიანი ჩამოდის. ისინი ტოვებენ თავიანთ კვარცხლებებს და აუდიტორიას სთავაზობენ „ათ მცნებას სმენადაქვეითებულთა შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად“, ბრიტანული ჟესტების ენის, მიმიკის, ფიზიკური თეატრისა და ცეკვის საშუალებით.

Deaf Men Dancing, UK
Choreographer Mark Smith
Designer Ryan Dawson Laight
Composer Sean Chandler

About Theatre:

Mark Smith is the founder and artistic director for Deaf Men Dancing, an innovative and emerging all male dance company. It is a collaboration of male dancers/choreographers who, like Mark, are deaf. Together they have created a fusion of differing styles of dance with sign-language incorporated into choreography creating a unique, interesting and original aesthetic.

DMD have performed all over the UK including Sadler's Wells Theatre & Incloodo Festival, Greenwich + Dockland International Festival. In 2014, Mark Smith was one of the three artists selected to participate in Integrated ChoreoLAB presented by South East Dance, Pavilion Dance South West and GDance.

In 2016, Deaf Men Dancing performed 'Let us tell you a story' that invites audiences on a journey to explore Deaf history and experiences of deafness in an entirely new way at museums for Exceptional & Extraordinary: unruly bodies and minds in the medical museum. A collaborative project initiated and led by the Research Centre for Museums and Galleries at the University of Leicester with Deaf Men Dancing and in partnership with 8 medical museums and advice and additional support from SHAPE, the Hunterian Museum at the Royal College of Surgeons, and the Smithsonian Institution.

Inspired by Mark Smith's investigations of medical museum collections that contain hundreds of objects - from exquisite ear trumpets to conspicuously large hearing aid boxes - and the extraordinary untold stories of the people and events, the innovations and technologies that have shaped Deaf experience and identity through time.

About Performance:

Deaf Men Dancing is an all-male deaf dance company with a fusion of different styles of dance incorporating British Sign-Language. DMD's Artistic Director/Choreographer Mark Smith in collaboration with designer Ryan Dawson Laight and composer Sean Chandler, is proud to present DMD's new outdoor work called 'TEN', inspired by double acts like Laurel & Hardy, Flanagan & Allen, Morecambe & Wise, Abbott & Costello and Gilbert & George. Two deaf men arrive. They set up their Soapboxes and deliver to the audience their 'Ten Commandments for Deaf Awareness' in BSL, mime, physical theatre and dance.



EXHIBITION CALENDAR

2017

26-28 OCTOBER

THF'17 - TBILISI HEALTH FORUM

- CAUCASUS HEALTHCARE
International Fair for Medical Technology and Equipment
- TBILISI BEAUTY
International Fair for Aesthetic Medicine
- TBILISI DENTAL SHOW
International Fair for Dentistry and Dental Equipment

www.healthcareexpo.ge

9-12 NOVEMBER

TBILISI BOOK DAYS 2017

www.bookexpo.ge

20-22 NOVEMBER

AGRO FOOD DRINK TECH EXPO GEORGIA

17th International Exhibition for Agro, Food and Drink Products, Packaging and Processing Equipment

www.agroexpo.ge

1-2 DECEMBER

SCHOOLS' FAIR TBILISI

8-9 DECEMBER

ELCOMM CAUCASUS 2017 / AQUATHERM TBILISI 2017

- 4th International Energy, Power and Communications Exhibition
- 4th International Exhibition for Heating, Water Supply, Sanitary, Air-Conditioning, Ventilation and Pools Equipment

www.elcommexpo.ge
www.aquatherm.ge

2018

23-24 FEBRUARY

IEFG – INTERNATIONAL EDUCATION FAIR GEORGIA

The 7th International Fair for High and Professional Education, Overseas Studies and Students' Services

www.educationfair.ge

12-14 APRIL

CTF' 18 – CAUCASUS TOURISM FAIR

The 20th International Tourism Fair

www.tourismexpo.ge

26-29 APRIL

CAUCASUS BUILD 2018

23rd International Exhibition for Building and Interiors

www.buildexpo.ge


15-17 JUNE

WINEXPO GEORGIA'18

- 11th International Wine and Spirits Fair
- Georgia 10th International Wine Award

www.winexpo.ge

Exhibition Center ExpoGeorgia | www.expoGeorgia.ge | expo@expogeorgia.ge | +995 32 234 11 00



ფომენკოს თეატრი-სახელოსნო, რუსეთი
ივან ბუნინი
რეჟისორი იური ტიტოვი

დადგმის ხელმძღვანელი ევგენი კამენკოვიჩი
მხატვარი ვალენტინა ოსტანკოვიჩი
განათების მხატვარი ვლადისლავ ფროლოვი
ტექნიკური რეჟისორები ტატიანა სერედინა, იულია ვერბუნოვა
მუსიკალური გაფორმება ოლგა ფედლოროვა
ივან ბუნინის ნაწარმოებების „ჰაინრიხი“, „მდინარისპირა სასტუმრო“, „ნატალი“, „მადრიდი“ მიხედვით.

მონაწილეობენ: იური ტიტოვი, როზა შმუკლერი, სერაფიმა ოგარიოვა, ირინა გორბაჩოვა, დმიტრი ზახაროვი, ამბარცუმ კაბანიანი, ნატალია მარტინოვა, ვლადიმირ სვირსკი.

თეატრის შესახებ:

ფომენკოს თეატრი-სახელოსნო ოფიციალურად 1993 წელს შეიქმნა, მაგრამ „ფომენკოებმა“ ისტორიის ათვლა 1988 წლიდან დაიწყეს, როდესაც პიოტრ ფომენკომ სტუდენტების პირველი ჯგუფი მიიღო რუსეთის თეატრალურ აკადემიაში (გიტის).

